საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №640

2013 წლის 16 აგვისტო

ქ. თბილისი

„საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული სამხედრო დანიშნულების პროდუქციის ნუსხის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 15 ივლისის №304 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, „საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული სამხედრო დანიშნულების პროდუქციის ნუსხის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 15 ივლისის №304 ბრძანებულებით (სსმ III, 2000 წ., N67, მუხ. 604) დამტკიცებულ ნუსხაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ნუსხით განსაზღვრული სპეციალური შეიარაღებისა და ხელსაწყოების გრაფის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.
2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**